



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ფარმაცია, სადოქტორო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30.07.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11.08.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328701
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სადოქტორო პროგრამა „ფარმაცია“
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფარმაციის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფარმაცია Pharmacy - 0916
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	45 ECTS / სასწავლო კომპონენტი/ სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტლება N184

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ჯავახია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა ფარმაციის სადოქტორო პროგრამა, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 3 ოქტომბერს (გადაწყვეტილება N184). საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესი შედგა 2019 წლის 26 ივლისს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 17 ივლისის N613 ბრძანების თანახმად. აკრედიტაციის პროცესს ხელმძღვანელობდა უცხოელი ექსპერტი დოქტ. დანილო კორადინი (CNR ბიოლოგიური სისტემების ინსტიტუტი, მონტეროტონდო, რომი, იტალია.), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის იყვნენ ქართველი ექსპერტები (დოქტ. ნ. შაშიაშვილი, დოქტრ. ნ.ბარათაშვილი, სტუდენტი ექსპერტი ლ. ბოკუჩავა).

ექსპერტთა კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის სრული შესაბამისობა აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა რეკომენდაციები და რაიმე ტიპის რჩევაც კი. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 7 წლით. იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტიზის მიზნით წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში გარდა პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსებისა, უსდ-მ წაროადგინა შესაბამისი ანგარიშის ფორმა მტკიცებულებების პაკეტით (4 დაარქივებული საქალაქი). შესაბამისობის ანგარიშში წარმოდგენილი კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი და 2021 წლის 28 იანვარს N8 თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა დანართი დოკუმენტებით (მათ შორის: სასწავლო კურსების სილაბუსები, აკადემიური პერსონალის რეზიუმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან. არსებული მოცემულობის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა ხედვები საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის მიმართებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 8 21 0000706223, 13/07/2021 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: მაკა ჯავახია (თავმჯდომარე); ნინო ქიმერიძე (წევრი) განხორციელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე **ფარმაცია** არაგვემეიური მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის სამსახურებთან დათქმის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

- **რეკომენდაციები**

- 2.3. კომპონენტი

- ✓ მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განალებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 2.5. კომპონენტი

- ✓ სასურველია, სილაბუსებში აისახოს საკონსულტაციო საათები

- 2.6. კომპონენტი

- ✓ სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კვლევის პროცესების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესს. მსგავსი ფორმატი განაპირობებს მეტწილად საკვალიფიკაციო ნაშრომის სავალდებულო ვადებში წარდგენას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობის შემდგომ დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს ძირეული ცვლილება არ განუცდია. შესაბამისობის ანგარიშში წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციოდ 2021 წლის 28 იანვრის N8 თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებით წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-8 დონე, ის პირდაპირ ბმაშია უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებთან, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს: საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს დამოუკიდებელ, კონკურენტუნარიან მკვლევრებს უწინარესად საუნივერსიტეტოს, ხოლო ამასთან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის, რომელთაც ექნება ღრმა და ფუნდამენტური ცოდნა ფარმაციასა და მის დეტალურ ქვესფეროებში (ფარმაცევტულ ტექნოლოგიებში, ფარმაცევტულ და ტოქსიკოლოგიურ ანალიზში, ბუნებრივ და სინთეზურ ნაერთთა ქიმიკაში, კლინიკურ, სოციალურ ფარმაციაში, დამყარებული დარგის უახლეს მიღწევებზე და კვლევის ინოვაციურ მეთოდებზე. ამასთან საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები აქცენტს აკეთებენ სფეროს განვითარების საერთაშორისო ტენდენციებზე და ამავდროულად დარგის შესწავლისა და კვლევის პროცესებს მიღმა არ რჩება ქართული ფარმაციის ფუნდამენტური ტრადიციები, ქვეყნისა და რეგიონის ენდემური ფლორა და ფაუნა როგორც მნიშვნელოვანი ნედლეული ფარმაცოლოგიური პროდუქციისათვის. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის რაკურსში ექცევა ბუნებრივი რესურსების კვლევა, არსებული წამალთფორმების სრულყოფა, ხარისხის კონტროლის ახალი ზუსტი მეთოდების შემუშავება.

პროგრამის მიზნები და შესაბამისად სწავლის შედეგები პირდაპირ კავშირშია დასაქმების ბაზართან. რასაც ასევე ადასტურებს მტკიცებულებებს სახით წარმოდგენილი მემორანდუმები მსხვილ ფარმაცო-ტექნოლოგიურ მწარმოებლებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- ✓ უნივერსიტეტის მისია;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი, გამომდინარეობს რა პროგრამის მიზნებიდან, უშუალო კავშირშია უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებთან. შესაბამისად, სწავლის შედეგები ასახულია – ფარმაციის დოქტორის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ სამ კომპეტენციაში: **ცოდნა-გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.**

ცოდნის კომპეტენციაში მოაზრებულია: **უახლეს მიღწევებზე დამყარებული ღრმა და სისტემური ცოდნა, სწავლის პროცესში ჩართული უახლესი მეთოდების გამოყენებით და ახალი ცოდნის გენერირება, რაც ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სასწავლო კომპონენტებს. მიღებული ცოდნა სწავლების პროცესისადმი ინტერ- და მულტიდისციპლინურ მიდგომის შედეგია.** მოცემული დასკვნის საფუძველს იძლევა სწავლის შედეგების რუბრიკის **ცოდნა-გაცნობიერება**, თუმცა საჭიროდ მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ჩანაწერში სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყო გაზომვადი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამა კურსდამთავრებულს გამოუმუშავებს უნარების ფართო სპექტრს,

როგორცაა: კვლევისა და პროდუცირების პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელების, ახალი კვლევისა და ანალიზის მეთოდების ან/და ტექნოლოგიების, შემუშავების; კვლევის შედეგების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა და გადაცემა კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულს წარადგინოს ახალ ცოდნაზე და კვლევის უახლეს მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული საკუთარი კვლევის შედეგები, დაიცვას სამეცნიერო კამათში აკადემიური ეთიკის ფარგლებში საკუთარი მოსაზრება ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და შეხვედრებზე პროფესიული და არაპროფესიული საზოგადოების წინაშე.

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ავტონომიურობის მაღალი ხარისხი აკადემიურ აქტივობასა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობის პროცესში.

წინამდებარე სწავლის შედეგებში აკუმულირებულია საგანმანათლებლო პროგრამის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის შედეგები და ამავდროულად, წარმოადგენს პროგრამის მიზნების კონცეპტუალურ-ფილოსოფიური ხედვის ამოსავალ შედეგს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 1, დანართი 2);
- ✓ თსსუ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის ანგარიში;

რეკომენდაციები:

- ✓ სწავლის შედეგების ქვერუბრიკა *ცოდნა-გაცნობიერება* ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მე-8 დონის შესაბამისი გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპული სტანდარტების შესაბამისად სადოქტორო პროგრამაზე დაიშვებიან ფარმაციის მაგისტრის ან ექვივალენტური ხარისხის მქონე პირები, რაც ხორციელდება გამჭვირვალე, საჯარო და ადეკვატურად ხელმისაწვდომი პროცედურებით, რომლებიც ემყარება მსურველთა შეფასებას შესაბამის მისაღებ გამოცდაზე, რომელიც მოიცავს ინგლისურ ენაში B2 დონის ტესტსაც.

პროგრამაზე დაშვების პროცედურები გამჭვირვალეა და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

✓ ფარმაციის სადოქტორო პროგრამა (დანართი 1);

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
<p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა თანხვედრაშია ევროპულ სტანდარტებთან და შედგება სასწავლო კურსების, სემინარებისა და ფარმაციის სფეროში ორიგინალური კვლევითი პროექტის შემუშავებისგან. პროექტი წარმოადგენს დისერტაციის საგანს, რომელიც დოქტორანტმა უნდა დაწეროს და ამით დაადასტუროს სამეცნიერო საკითხებთან დამოუკიდებლად გამკლავების უნარი.</p> <p>პროგრამა ეფუძნება თანამედროვე ფარმაცევტული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. ასევე, ორიენტირებულია ევროპული ფარმაცოპიის მოთხოვნებზე, რომელიც განსაზღვრავს ევროპაში ფარმაცევტული პროდუქტისადმი ხარისხის მოთხოვნებს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა წარმოადგენს სასწავლო კურსების, სემინარების, ახალი კვლევითი პროექტების, ინდივიდუალური განვითარების და შედეგების დისემინაციის კარგად ბალანსირებული კომბინაციის შედეგს, რაც ხორციელდება სამეცნიერო კომუნიკაციის გზით კონგრესებზე და/ან პუბლიკაციებით სამეცნიერო ჟურნალებში.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ნამდვილად არის ევროპული სტანდარტების შესაბამისი.</p>

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2); ✓ საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1)
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები მიზნად ისახავს ახალგაზრდა მეცნიერის ჩამოყალიბებას ფარმაციის ძირითად დისციპლინებში, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის დამოუკიდებლად განხორციელების საფუძველს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კურსის შინაარსი ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას და შემუშავდა პროგრამის დაგეგმილი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისათვის. სასწავლო კურსების უმეტესობაში სტუდენტებს შეუძლიათ შეისწავლონ კომპლექსური ფარმაცევტული საკითხების გამოკვლევა და მათი სისტემური მოგვარება. სამეცნიერო</p>

პრობლემის დამოუკიდებლად ფორმულირების და მის მოსაგვარებლად ჰიპოთეზისა და პროცედურების შემოთავაზების უნარი დოქტორანტებს გამოუმუშავდებათ დისერტაციის მომზადების პერიოდში, რომელიც ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ხელმძღვანელობით.

თსსუ-ს ბიბლიოთეკა, თავისი ინტერნეტ წვდომით ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებზე, სახელმძღვანელოებზე და უნივერსიტეტში დაცული დისერტაციების კოლექციაზე, მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

გარკვეული შესწორება უნდა განხორციელდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში. დამატებით კომენტარსა და არგუმენტს საჭიროებს უცხოური ენების არჩევითი 2 კრედიტიანი კურსების არსებობა კურიკულუმში, მაშინ როდესაც დოქტორანტს აქვს ინგლისური ენის საშუალოზე მაღალი კომპეტენცია ინგლისურში, ასევე მას ეძლევა საშუალება მოისმინოს დარგობრივი უცხოური (ინგლისური) ენის კურსი. აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ წინამდებარე სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგები მსგავსია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თსსუ-ს ფარმაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2)

რეკომენდაციები:

- ✓ მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განალეზულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

--

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტი თანამშრომლობს ბევრ უცხოურ უნივერსიტეტებთან: ლიეჟის უნივერსიტეტთან (ბელგია), მარსელის ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი), კვებეკის უნივერსიტეტთან (კანადა), ლიუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტთან (პოლონეთი) და ლიუბლიანის უნივერსიტეტთან (სლოვენია). ფაკულტეტი, ასევე, თანამშრომლობს საქართველოს რიგ კერძო და საჯარო დაწესებულებებთან: GMP-თან, ფარმაცევტულ კომპანიებთან, ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ დეპარტამენტთან. იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაცო-ქიმიის ინსტიტუტი აქტიურადაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს კვლევითი აქტივობის ნაწილი განახორციელონ როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის დაწესებულებებსა და კომპანიებში. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს დოქტორანტების მიერ არსებული ცოდნის კრიტიკულად გააზრებისა და ინოვაციური კვლევის მეთოდების და მიდგომების დამოუკიდებლად გამოყენების უნარის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თსუ-ს ფარმაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- ✓ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (დანართი 4)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ყველა კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები სრულდება აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე დონის შესაბამისად და ეფუძნება დოქტორანტებზე ორიენტირებულ მეთოდებს. სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს დოქტორანტების პერსონალურ საჭიროებებს. ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებზე ზეპირი ან პლაკატური კომუნიკაციები წარმოადგენს სწავლისა და სწავლების მეთოდების ნაწილს, ისევე, როგორც დარგის სათანადო ლიტერატურის ძიება-დამუშავება და ექსპერიმენტულ კვლევით აქტივობებში ჩართულობა.</p> <p>პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის გაწერილია კურსის სპეციფიკაზე დაყრდნობით და შემუშავებულია სტუდენტთა სამეცნიერო და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ თუ საერთაშორისო კონგრესებზე და გამოაქვეყნონ პუბლიკაციები ადგილობრივ ან ინდექსირებულ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ფარმაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1); ✓ სილაბუსები (დანართი 2);
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სასურველია, სილაბუსებში აისახოს საკონსულტაციო საათები
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

<p>აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p> <p>○</p>
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
